მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	„ თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“
საიდენტიფიკაციოკოდი	209471258
რეგიონი	თბილისი
რაიონი	გლდანი-ნაძალადევი
მისამართი	სკოლამ ავტორიზაცია მიიღო 2016 წელს ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართით, თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N26-ში, 32375 კვმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია სამსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა. ამ შენობის საერთო ფართიდან სკოლა „ლამპარს“ იჯარით აქვს აღებული 1130 კვმ. იჯარის ვადა განსაზღვრულია 2023 წლამდე. 2016 წლის ნოემბრიდან სკოლამ პარალელურად სასწავლო პროცესი განახორციელა ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებული მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის (460 მოსწავლე) ფარგლებში მეორე მისამართზე არსებულ ორსართულიან შენობაში საერთო ფართით 821,09კვ.მ. თბილისი, დიდი დიღმის ტერიტორია, ილია შეყილაშვილის ქ. N23. იჯარის ვადა განსაზღვრულია 2027 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ 2016-2017 სასწავლო წლის თვითშეფასების კითხვარში სასწავლო პროცესის ორ სხვადასხვა მისამართზე განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო მითითებული. თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დამატებით ფართზე სასწავლო პროცესის განხორციელების თაობაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი 2016 წლის 22 ნოემბერით დათარიღებული წერილი (დანართი N1 იჯარის ხელშეკრულებები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილი, 10 ფურცლად)

№	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი. ჭყონდიდელის ქუჩა N26	შენობა ნაგებობა N17 – 1130 კვ.მ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

		თბილისი, დიდი დიღმის ტერიტორია, ილია შეყილაშვილის ქ. N 23	821.09 კვ.მ.
	ინტერვიუებისას კითხვაზე, თვითშეფასების კითხვარში რატომ არ იყო ინფორმაცია სასწავლო პროცესის მეორე მისამართზე განხორციელებასთან დაკავშირებით, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის შევსების დროს საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულების საკითხი მოსაგვარებელი იყო და თან ცენტრში გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით პასუხიც არ იყო მიღებული. აქედან გამომდინარე, თვითშეფასების კითხვარში სკოლის ადმინისტრაციას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესური მხოლოდ ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი აქვს მითითებული, ნაცვლად ორისა.		
საფოსტოინდექსი	0180		
დაწესებულებისვებ-გვერდი	LAMPARI2011.GE		
დაწესებულებისელ-ფოსტა	LAMPARI@GMAIL.COM		
ტელეფონი/ფაქსი	261-13-83		
	დაწესებულებისხელმძღვანელი		
სახელიდაგვარი	ლალი გარდაფხაძე, ნინო ქადაგიძე,დარეჯან ქადაგიძე, რუსუდან მდივანი,		
ტელეფონი	59975-38-14		
ელ-ფოსტა	Lali159@mail.ru		
	დაწესებულებაშიმოსწავლეებისადაპედაგოგების რაოდენობა		
პედაგოგი	37პედაგოგი • ჭყონდიდელის ქუჩაზე მდებარე შენობაში 27 მასწავლებელი • დიდი დიღომში, ილია შეყილაშვილის ქ. N 23-ში მდებარე შენობაში 15 მასწავლებელი მათგან 7 პედაგოგი სასწავლო პროცესს ახორციელებს ორივე მისამართზე განთავსებულ შემობაში(დანართი N4, მოსწავლეთა და მასწავლებელთა განაწილება შენობებში , 5 ფურცლად)		
სერტიფიცირებულიპედაგოგი	1- წამყვანი, 14- უფროსი და 3 - სტატუსის გარეშე და 19- პრაქტიკოსი მასწავლებელი.		

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მოსწავლე/სსსმმოსწავლე	ამჟამად სსსმმოსწავლე სკოლაში არ ირიცხება
მოსწავლეთა რაოდენობა	ამჟამად სკოლაში სწავლობს **259** მოსწავლე მათგან: • ჭყონდიდელის ქუჩაზე მდებარე შენობაში213მოსწავლე • დიდი დიღომში, ილია შეყილაშვილის ქ. N 23-ში მდებარე შენობაში **46** მოსწავლე (დანართი N4, მოსწავლეთა და მასწავლებელთა განაწილება შენობებში, 5 ფურცლად)
	ინფორმაციადაწესებულებისავტორიზაციისშესახებ
გადაწყვეტილებისნომერი	N61 24.08.2016
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	460

დაწესებულებაახორციელებს

დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას	■
საბაზოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას	■
საშუალოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას	■
პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამას	□

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 02.03. 2018წლის N 156ბრძანება: **კერძოდ, 2018 წლის 8 თებერვალს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი სწავლობს საქმეს „თბილისის საშუალო სკოლა ლამპარში “მე-10 კლასის მოსწავლის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის შესახებ.** სიუჟეტის თანახმად, დაშავებული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	მოსწავლე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბავშვის დედის განმარტებით, როგორც მას შვილმა უამბო, იგი მოზარდების ჩხუბს შეესწრო, რა დროსაც ერთ-ერთი ბიჭის ხელი მოხვდადა და ტუჩი დაუზიანდა. სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ინფორმაციით, დაპირისპირება, სავარაუდოდ, თბილისის N12 საჯარო სკოლისა და თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის" მოსწავლეებს შორის მოხდა. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად (ამავე კანონით დადგენილ ვადაში- 10 დღე) სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა თხოვნით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, -კომპეტენციის ფარგლებში შეესწავლა, ერთი მხრივ, რამდენად მყისიერი და ჯეროვანი რეაგირება განახორციელა სკოლამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და მეორე მხრივ, რამდენად არის სკოლაში და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი მოსწავლეთათვის უსაფრთხო და დაცული გარემო. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილის საპასუხოდ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის (02.03. 2018 წლის N 156) ბრძანების საფუძველზე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა ვიზიტი.
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ჯგუფის თავმჯდომარე : ნინო ბალანჩივაძე (ექსპერტი) მონიტორინგის ჯგუფის წევრები: ნინო გვარამაძე(ექსპერტი)
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	05.03.2018-06.03.2018
დასკვნის მომზადების თარიღი	12. 03.2018

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციისსტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	„შპს „თბილისის სკოლა ლამპარის" მისიაში განსაზღვრულია ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც უნდა დამკვიდრდეს სკოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისია განსხვავდებოდა ვებგვერდზე განთავსებული მისიის ვერსიისაგან. ამიტომ დაწესებულების ადმინისტრაციამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა მისიის საბოლოო ვერსია: **„საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, რათა მოვამზადოთ შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და წარმატებული პროფესიული მოღვაწეობისათვის.** **აქტიური, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, ზოკადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, კულტურულ ფასეულობათაპატივისმცემელი, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გამცნობიერებელი, თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად."** დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც

- სკოლის საათობრივი ბადე აზუსტებს სწავლების სამივე საფეხურზე ყველა საგნის სწავლების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით - საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით, გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისა და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობას, შემაჯამებელი დავალებების განრიგს საგნებისა და კლასების მიხედვით. საათობრივი ბადის მიხედვით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- პედაგოგები, დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე;
- მოსწავლის სოციალური და კვლევითი უნარების განვითარებისათვის სკოლა ხშირად აწყობს შემოქმედებით კონფერენციებს, საქველმოქმედო აქციებს, ექსკურსიებს და აღმზრდელობით ღონისძიებებს. ამგვარ არაფორმალურ გარემოში მოსწავლე იღებს კლასგარეშე განათლებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მისი მსოფლმხედველობითი ფორმირებისათვის.
- **ინკლუზიური განათლების პროგრამაში ზოგად დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იმ უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური . ამჟამად აღნიშნულ სკოლაში სწავლობს უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული 3 ბავშვი.**

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 8 თებერვლის ინციდენტთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი და მოსწავლეები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ სხვადასხვა ტიპის დებატებით, სიმულაციებითა და პროექტებით შესაძლებელია ამა თუ იმ საგანმანათლებლო, გლობალურ თუ პრობლემურ თემებზე თავისუფალი საუბარი. აქედან გამომდინარე, დაწყებითი საფეხურის კლასებში გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელიც ეხება მოზარდებში ბულინგის თემას. ფილმთან დაკავშირებით მოეწყო განხილვა ფსიქოლოგთან ერთად. განხილულ იქნა ფილმის გმირების ძლიერი და სუსტი მხარეები. ბავშვებმა აზრი გამოთქვეს ძალადობასთან დაკავშირებით. დააფიქსირეს თავიანთი შეხედულება იმ გმირების შესახებ, რომლებიც ფილმში მოძალადედ, ძალადობის მსხვერპლად და მათ მხარდამჭერეებად წარმოჩინდებოდნენ.

	მარტის თვეში სკოლამ განახორციელა პედაგოგთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა, რათა გამოვლენილიყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები; დადგენილიყო რამდენად კომფორტული თუ სტრესულია სასკოლო სამუშაო გარემო და, ამასთანავე, განსაზღვრულიყო სათანადო რეკომენდაციები, რაც უკეთესი თანამშრომლობისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საწინდარი იქნებოდა. მისიიდან გამომდინარე, აღზარდოს აქტიური, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, ზოკადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანი, სკოლაში ხშირად ტარდება ვიქტორინები, სპორტული შეჯიბრები, გამოფენები, საქველმოქმედო ღონისძიებები; სტუმრობენ მუზეუმებს, დადიან ექსკურსიებზე, უყურებენ ფილმებს ინგლისურ ენაზე და მერე იხილავენ არსებულ პრობლემებს. დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
დადასტურება/დანართი	1. დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმით (60 ფურცლად); 2. ინტერვიუიებით; 3. კლუბების სამოქმედო გეგმით;
შეფასება	**დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავი I, მუხლი მე-2, პუნქტი მე-3, თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი ა,ბ,**

1.2სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულიც ოდნა, უნარები და ღირებულებები

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	შპს „თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ მოსწავლეები სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა: • **ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა** (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები). • **მათემატიკის კათედრა**(მათემათიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.); • **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა** (ჩვენი საქართველო, ისტორია, სამოქალაქო განათლება,გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება. არჩევით საგნებს: გეოგრაფიული კვლევა, სახელმწიფო და სამართალი.) • **ესთეტიკური კათედრა** (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. სპორტი(ჭადრაკი, ჩოგბურთი). • **უცხო ენის კათედრა**(ინგლისური ენა, რუსული ენა.); • **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა(საგნები:** ჩვენი საქართველო, ისტორია, სამოქალაქო განათლება,გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება. **არჩევით საგნები:** გეოგრაფიული კვლევა, სახელმწიფო და სამართალი). წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით: • **ინგლისური ენა** ისწავლება პირველი კლასიდან; • **რუსული ენა** - III კლასიდან; • **ჭადრაკი** - I-VI კლასებში. • სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - IV კლასში -II სემესტრში კვირაში 1 საათი(ჯამურად 12 საათი). **VII- IX კლასებში:**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

- **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** ისწავლება II სემესტრში კვირაში 1 საათი და I სემესტრში - კვირაში 0 საათი;
- **მუსიკა** ისწავლება I სემესტრში კვირაში 1 საათი და II სემესტრში - კვირაში 0 საათი;

VIIIკლასში :

- სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში კვირაში 1 საათი;

Xკლასში:

- არჩევითი საგანი სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა ისწავლება კვირაში 1 საათი;

XI კლასში:

- არჩევითი საგანი გეოგრაფიული კვლევა ისწავლება II სემესტრი კვირაში 1 საათი;

XII კლასში:

- სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში კვირაში 1 საათი, ჯამურად 14 საათი;
- არჩევითი საგანი სახელმწიფო და სამართალი ისწავლება I სემესტრში კვირაში 1 საათი;

წრეობრივი მუშაობის სახით 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას შემდეგ საგნებში:

- ინგლისური ენა
- მათემატიკა

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს:

- ზოგადი უნარები-XII კლასში
- გახანგრძლივებული სწავლება I-VI კლასებში

წინა სასწავლო წელს „აბიტურის საათზე" მოსწავლეთა დასწრების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეები თითქმის არ ესწრებიან „აბიტურის საათს". ვინაიდან „აბიტურის საათის" ჩატარების საჭიროება განისაზღვრება კონკრეტული სკოლის მიერ და

	რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“ საჭიროდ არ თვლის აბიტურის საათების ჩატარებას. **ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (თავი LIII სპორტის საგნობრივი პროგრამა) სწავლების ორგანიზებაში ცალსახად არის აღნიშნული, რომ „საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლა ირჩევს მინიმუმ სამს (3)...“** სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადით კი ვერ დგინდება სპორტის სამი სახეობის სწავლება. **ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 53. სპორტი) სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:** **ა) ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლასებში)** **ბ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი (VII-XII კლასებში);** ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის არჩევითი საგანი – **ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა II-III კლასებისთვის).** სასკოლო საათობრივი ბადით კი ირკვევა, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები უტარდებათ აღნიშნული დატვირთვის ფარგლებში ; • I-IV კლასებში - 1 სთ. ეთმობა ჭადრაკს, 1სთ. - სპორტს. • V-XII კლასებში - 1 სთ. ეთმობა ჩოგბურთს, 1სთ. -სპორტს. **მართალია,** სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის განსაზღვრული სკოლის მიერ შერჩეული სპორტის სახეობები , მაგრამ დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას შერჩეული აქვს ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ჩოგბურთი. აღნიშნული არ დგინდებოდა დოკუმენტურად. თუმცა სკოლამ სპორტის სამივე სახეობის პროგრამა წარმოადგინა.. არსებული ხარვეზი ექსპერტთა ვიზიტის დროს აღმოფიხვრა (**დანართი N2 სასკოლო სასწავლო** გეგმა -60 ფურცლად). **სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სადამრიგებლო პროგრამა.** დაწესებულებამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამის შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: კერძოდ, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში (**თავიV. სადამრიგებლო პროგრამა** 6- გვ.) ვკითხულობთ:

- „“დამრიგებლის მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას...
- დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. დამრიგებლის მუშაობის მიზანი უნდა იყოს კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა....
- კლასის დამრიგებელი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან.. და ა.შ.

როცა შეიძლებოდა პირდაპირ განსაზღვრულიყო, რომ

- „“დამრიგებლის მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას....
- დამრიგებლის მოსწავლეებთან ურთიერთობა ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.
- კლასის დამრიგებელი თანამშრომლობს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ.: ბიბლიოთეკებთან, მუზეუმებთან და სხვ.) და .ა.შ.

სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმა:

- *სასკოლო რეჟიმი;*
- *კლასის მოსწავლთა მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია;*
- *სასწავლო წლის კალენდარი;*
- *გაკვეთილების ცხრილი;*
- *საგაკვეთილო საათის ჩატარების გრაფიკი და თემატიკა;*
- **სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;**
- **შეფასების სისტემა;**

	• სკოლის შინაგანაწესი; • სადამრიგებლო პროგრამა; • მშობელთა კომიტეტი; • ღონისძიებები; • კლასის კრებების საკითხები; • მოსწავლის ვალდებულებები; • დამრიგებლის მონაცემები; • კლასში შემავალი პედაგოგების მონაცემები; • სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; • წრეობრივი მუშაობა; • აღმზრდელობითი გეგმა; • მშობელთა კრების ოქმი; • მოსწავლის სოციალური,ინტელექტუალური და აკადემიური მოსწრების შეფასების ცხრილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოზარდის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე, შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.
დადასტურება/დანართი	1. სასკოლო სასწავლო გეგმით ; 2. დამრიგებლის ელექტრონული პორტფოლიოებით; 3. კათედდრის დებულებით; 4. ინტერვიუებით; 5. თვითშეფასების კითხვარით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი ა, ბ,**

1.3სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვსს პეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	შპს „თბლისის საშუალო სკოლა ლამპარის“ სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური განათლება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: კერძოდ, რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი. მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში (**თავი IX. ინკლუზიურიგანათლება**35 –40 გვ.) ვკითხულობთ: • „ინდივიდუალური სასწავლი გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს... • შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით; • სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. • ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი და ა.შ. როცა შეიძლებოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულიყო როგორც კოორდინატორი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი, ისე ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები, რაც გაითვალისწინებდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სკოლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებას: მაგ.: როგორ დაკომპლექტდებოდა და იმოქმედებდა სამუშაო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

	ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში. რა ვადებში მოხდებოდა მოსწავლის საჭიროებების შეფასება და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდებოდა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების მექანიზმებზეც და (მასწავლებლის ვიზიტზე ოჯახში) მასწავლებლის დატვირთვაზეც სსსმ მოსწავლის სახლში სწავლების შემთხვევაში. მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიუებით, გაირკვა, რომ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ამგვარი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.
დადასტურება/დანართი	1. სასკოლო სასწავლო გეგმით; 2. ინტერვიუირებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - გ**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. განსაზღვრულია და დადგენილი სასწავლო წლის/საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

	მართალია, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების სქემები, მაგრამ პედაგოგების ელექტროპორტფოლიოების დათვალიერებით დადგინდა, რომ კათედრებს შემუშავებული აქვთ კონკრეტულ მიმართულებაზე მორგებული შეფასების სქემები და რუბრიკები. ყოველი სემესტრის დასრულებისას პედაგოგები/კათედრის ხელმძღვანელები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ანალიზს, გამოკვეთენ პრობლემებს და შემდეგ გეგმავენ მათი გადაჭრის გზებს. შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში ტესტური დავალებების პარალელურად გამოიყენება ექსპერიმენტი, კვლევა, პროექტი, ესე, თემა და სხვ. მასწავლებლის მიერ შემუშავებული ანალიზები ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადია და ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას; შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემაჯამებელ დავალებაში მითითებული ინდიკატორების ამოქმედება აღნიშნული დავალების შესრულებით შეუძლებელი იყო, ამიტომ ერთობლივად განვიხილეთ როგორც ტესტი და შესრულებული დავალება, ისე საგნობრივი სტანდარტები და ინდიკატორები. სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ უახლოეს მომავალში კათედრები იმსჯელებდნენ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს; დაწყებითი საფეხურების მოსწავლეთათვის შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ფორმები. სამივე საფეხურის მოსწავლეებს სწავლა/სწავლების პროცესში აფასებენ სიტყვიერი და წერილობითი კომენტარით, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ცხრილებს.
დადასტურება/დანართი	**1. სასკოლო სასწავლო გეგმით;** **2. კათედრის დებულებით;** **3. ინტერვიუებით;** **4. შემაჯამებელი დავალებების ანალიზით;**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების II თავის, მე-3 მუხლისა და დ - პუნქტი

1.5.შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა	სასწავლო პროცესის მანძილზე დამრიგებლები და მასწავლებლები სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ: პირადი შეხვედრები, სატელეფონო ზარი, ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ჟურნალი. სკოლა ჩართულია ელექტრონულ პროგრამაში „schoolbook“, რამაც ხელი შეუწყო სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდას. მშობლები ეცნობიან მიმდინარე ღონისძიებების, დაგეგმილი აქტივობებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას; აქტიურად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და აფიქსირებენ შენიშვნებსა თუ სარეკომენდაციო წინადადებებს, მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა გამოკითხვაში. ყოველი სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებელი წერილობითი სახით აცნობს თითოეულ მშობელს მისი შვილის აკადემიური მოსწრების შედეგებს, რასაც მშობელი ხელმოწერით ადასტურებს. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება.
დადასტურება/დანართი	1. დამრიგებლის პორტფოლიოებით; 2. მოსწავლეებთან გასაუბრებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

	3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით; 4. დირექციათან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N 99 / ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - ე**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორატის ბრძანებით. აღნიშნული ითვალისწინებს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებასა და გაკონტროლებას. „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა ანონიმური გამოკითხვით. დამტკიცებულია შესაბამისი შეფასების ფორმები - მასწავლებლის,მოსწავლის,მშობლის გამოკითხვის ანკეტა-კითხვარები.გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლოპროგრამების კორექტირება.“
დადასტურება/დანართი	1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით; 2.ინტერვიუირებით სასწავლო პროცესის მენეჯერთან. 3.მშობელთა და მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვის ფორმებითა და ანალიზით; 4. ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშით
შეფასება	**დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - 3**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

III. ადამიანური რესურსი

3.1სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორატი. საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით კი - შემდეგი თანამშრომლები: 37 პედაგოგი და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი, კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მენეჯერი (IT) და სხვ. სულ 62 თანამშრომელი.
დადასტურება/დანართი	1. საშტატო განრიგით; 2. მასწავლებელთა ბაზის ამონაწერით 3. საათობრივი ბადით; 4. ხელშეკრულებებით.
შეფასება	დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. თუმცა ვიზიტის დროს მიღებულ იქნა ზომები დარღვევის გამოსასწორებლად.

3.2სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. პედაგოგთა პირადი საქმეების დათვალიერებით მასწავლებლების **უმრავლესობას** უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 44 პედაგოგი (მათგან 2 დეკრეტულ შვებულებაში), რომელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; მასწავლებელთა შემადგენლობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 11 მასწავლებელი არ იყო ჩართული სქემაში. ინტერვიუებით კი გაირკვა, რომ 2016 წლის ნოემბრიდან ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებულ მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის (460 მოსწავლე) ფარგლებში სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სხვადასხვა მისამართზე. ამიტომ მეორე მისამართზე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გაჩნდა მასწავლებელთა საჭიროება. აქედან გამომდინარე, შეჩეულ პედაგოგთაგან 11 მასწავლებელი აღმოჩნდა სქემის მიღმა. თუმცა ვიზიტის დროს 11 მასწავლებლიდან 8-ს შეუწყდა ხელშეკრულება (დანართი N5 მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომელთაც შეუწყდათ ხელშეკრულება- 63 ფურცლად), 1 პედაგოგი დეკრეტულ შვებულებაშია, 2 მასწავლებელთან დაკავშირებით კი გაიგზავნა წერილი (№0779, 05.03.2018) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში: ერთი სერტიფიცირებულია, მეორეს უდასტურდებოდა საგნის კომპეტენცია და, ამასთანავე, მინიჭებული აქვს განათლების მაგისტრის ხარისხი ინგლისური ენის დიდაქტიკაში ილიას უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად. ვიზიტის განმავლობაში მიღებული იქნა 1 პრაქტიკოსი (სპორტის) მასწავლებელი ნაცვლად სტატუსის არმქონე მასწავლებლისა. დანარჩენი საათები კი გადანაწილდა სკოლაში მომუშავე სქემაში ჩართულ პედაგოგებს შორის. (**დანართი N3 გაკვეთილები ცხრილით,** 4 ფურცლად)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მაშასადამე, დღევანდელი მონაცემებით სკოლაში სასწავლო პროცესს ახორციელებს 37 პედაგოგი:

1. ავტორიზაციით განსაზღვრულ მისამართზე (ჭყონდიდელის ქ. №26- ში) განთავსებულ შენობაში სასწავლო პროცესს ახორციელებს 27 პედაგოგი და დანარჩენი პერსონალი
2. მეორე მისამართზე (დიდ დიღომში, შეყილაშვილის ქ. №23,) განთავსებულ შენობაში მუშაობს 15 პედაგოგი და 1 კოორდინატორი;

მათგან 7 პედაგოგი სასწავლო პროცესს ახორციელებს ორივე მისამართზე განთავსებულ შენობაში. (დანართი N3 გაკვეთილები ცხრილით, 4 ფურცლად)

დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგთა თანაფარდობა ვიზიტამდე	
პედაგოგი	**44**
მენტორი	**0**
წამყვანი	**1**
უფროსი	**14**
პრაქტიკოსი	**18**
სტატუსი არ აქვთ	**11**
მოსწავლე	**262**
სსსმ მოსწავლე	**0**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

<table>
<tr><td></td><td>
<table>
<tr><th colspan="2">დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგთა თანაფარდობა ვიზიტის შედეგად</th></tr>
<tr><td>პედაგოგი</td><td>37</td></tr>
<tr><td>მენტორი</td><td>0</td></tr>
<tr><td>წამყვანი</td><td>1</td></tr>
<tr><td>უფროსი</td><td>14</td></tr>
<tr><td>პრაქტიკოსი</td><td>19</td></tr>
<tr><td>სტატუსი არ აქვთ</td><td>3 (2-ის თაობაზე გაიგზავნა წერილი, 1 დეკრეტულ შვებულებაშია)</td></tr>
<tr><td>მოსწავლე</td><td>262</td></tr>
<tr><td>სსსმ მოსწავლე</td><td>0</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>დადასტურება/დანართი</td><td>1. დასტურდება მასწავლებელთა ბაზის ამონაწერით
2. დანართი N3 გაკვეთილები ცხრილით (4 ფურცლად);
3. დანართი N5 მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომელთაც შეუწყდათ ხელშეკრულება, საათობრივი ბადე (63 ფურცლად);
4. პირადი საქმეებით.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.</td></tr>
</table>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

3.3, სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. პედაგოგის ვაკანსიის შემთხვევაში განცხადება ვრცელდება ელექრონულად მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით საჯაროდ. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ გასაუბრების საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს სანქციათა სისტემა. ამასთანავე, ამოქმედებულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები (ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა). სკოლის შინაგანაწესში, წახალისების კრიტერიუმების ჩამონათვალში ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციების თანახმად შეტანილია ცვლილებები (ბრძანება №ბ-52, 04.08.2016 დანართი 7) მასწავლებელთა წახალისებასთან დაკავშირებით.
დადასტურება/დანართი	1.სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 5, 6,16, 17, 18); 2.დანართი N 7 ბრძანებით №ბ-52, 04.08.2016 (ერთფურცლად); 3.ინტერვიუებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

3.4. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

აღწერა	ამჟამად სკოლაში მუშაობს სულ **62 თანამშრომელი.** აქედან **37** პედაგოგია, 12 - დამხმარე პედაგოგი (გახანგრძლივებული ჯგუფის), ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი - 13. **სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სხვადასხვა მისამართზე:** 1.დიდ დიღომში, შეყილაშვილის ქ. №23, სადაც აღნიშნულ მუშაობს 12 პედაგოგი და 1 კოორდინატორი; 2.ჭყონდიდელის ქ. №26- ში, სადაც მუშაობს 36 პედაგოგი და დანარჩენი პერსონალი. დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადა არ აღემატება 10 თვეს, ხოლო შესაბამისობა შრომის კოდექსთან დაბალანსებულია ბრძანებით №ზ-1, 01.09.2017(დანართი 8). ხელშეკრულება მოიცავს წინააღმდეგობას: **მუხლი 3. "პუნქტი 2.3.** დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებული უზრუნველყოს კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობით, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ ვალდებულია მისცეს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით" აზრს კარგავს ათთვიანი ხელშეკრულების პირობებში. ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ანაზღაურებად შვებულებაზე. შინაგანაწესის თანახმად (მუხლი 11, პ.2) დასაქმებულის შვებულებაში წასვლის უფლება წარმოიშვება მუშაობის 11 თვის შემდეგ, რაც აზრს კარგავს ათთვიანი ხელშეკრულების პირობებში, მაგრამ სკოლის დირექტორთან შეთანხმებით დასაქმებულს შეიძლება შვებულება მიეცეს ამ ვადის გასვლამდე, ეს კი უნდა ყოფილიყო მითითებული ხელშეკრულებაში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

	ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმის წარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.
დადასტურება/დანართი	1.ხელშეკრულებებით; 2.ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალით; 3.შინაგანაწესით; 4. დანართი 8 ბრძანებით N-ზ 1 (1 ფურცლად)
შეფასება	**დაკმაყოფილებულია „ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.** **რეკომენდაცია: გასწორდეს წინააღმდეგობრივი პუნქტები.**

3.5.სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები ასახული არაა, თუმცა გასულ სასწავლო წელს ჩატარდა სამი ტრენინგი მასწავლებლებისთვის: "პროექტული სწავლება", "შეფასება", "სადამრიგებლო საათის დაგეგმვა", რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებებით №ზ-28 07.06.2018(დანართი 9, 1 ფურცელი), №ზ-29 08.06.2018(დანართი 10, 1 ფურცელი),№ზ-30 09.06.2018(დანართი 11, 1 ფურცელი).
დადასტურება/დანართი	1.(დანართი 9, ბრძანებებით №ზ-28 07.06.2018(1ფურცლად); 2.(დანართი 10, ბრძანებებით №ზ-29 08.06.2018 (1 ფურცლად); 3.(დანართი 11, ბრძანებებით №ზ-30 09.06.2018 (1 ფურცლად)

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დაკმაყოფილებულია „ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. რეკომენდაცია: გასწორდეს წინააღმდეგობრივი პუნქტები.

3.6. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა	ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფი კომპეტენციის ფარგლებში გაეცნო რამდენად არის დაწესებულებაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, ამასთანავე, ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა, ერთი მხრივ, რამდენად მყისიერი და ჯეროვანი რეაგირება განახორციელა სკოლამ 2018 წლის 8 თებერვლის ინციდენტთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, რამდენად არის სკოლაში და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი მოსწავლეთათვის უსაფრთხო და დაცული გარემო. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღწერილია 2018 წლის 8 თებერვლის ინციდენტთან დაკავშირებული მოვლენები. აღნიშნული წერილის მიხედვით და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით გაირკვა, რომ მე-10 კლასის მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნამდვილად დაშავდა მათთვის უცნობი პირების მიერ, რომლებიც სკოლის შენობასთან ახლოს იყვნენ შეკრებილნი. სკოლის დირექტორის განმარტებით ინფორმაცია N12 საჯარო სკოლისა და სკოლა „ლამპარის“ მოსწავლეებს შორის რაიმე

	დაპირისპირების თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამება. თავად დაშავებული მოსწავლე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოდან მეორე დღეს გაეწერა და მკურნალობას სახლში აგრძელებს. მშობლის განცხადებით, დაშავებული მოსწავლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს, აღნიშნულს იკვლევს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მე-9 განყოფილება, სადაც დაიკითხა ყველა ის მოსწავლე, რომელთა დაკითხვაც გამოძიებამ ჩათვალა საჭიროდ, თუმცა სკოლის ადმინისტრაციისათვის საქმის დეტალები ამ ეტაპზე უცნობია. მოსწავლეებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ზოგადად დაპირისპირების თავიდან აცილება თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ ძალიან რთული იქნებოდა, რადგან კონფლიქტში ჩართული მოსწავლეები ერთი სასწავლო წელიც არ არის, რაც მათ კლასში სწავლობენ და მოტივაცია, ინტერესები თუ დამოკიდებულება სასკოლო ცხოვრებისა და სწავლისადმი თანაკლასელებისაგან ცალსახად განსხვავებული ჰქონდათ, რაც გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, მათი დაბალი აკადემიური მოსწრებითა და მოტივაციით და, მეორე მხრივ, არასასურველი საქციელით. მოსწავლეებმა ისიც აღნიშნეს, რომ, როცა თავად ადამიანს არ აქვს სწავლის ინტერესი და არ არის მოტივირებული, სხვა ვერაფერს გახდება. თუმცა გამოსავალი, მათი აზრით, შესაძლოა ყოფილიყო მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ერთობლივად აქტიური ჩართვა სხვადასხვა ტიპის საუბრებში, დებატებში, სიმულაციებსა და პროექტებში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებელი ცდილობდნენ მოსწავლეების დაინტერესებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებით, საკმაოდ რთული აღმოჩნდა როგორც მათი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, ისე მათი ქცევის რეგულირება. მოზარდებში აგრესიის დონის განსაზღვრისა და მათი შინაგანი ფსიქო-ემოციური ფონის დადგენის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია ფსიქოლოგთან ერთად

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

	სისტემატურად ატარებს კვლევებსა და დაკვირვებებს. ყოველივე ეს კი ეხმარება მათ სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. თუმცა 8 თებერვლის ინციდენტთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ გამოსავალი განრიდება აღმოჩნდა. კერძოდ, ოთხიდან სამმა მოსწავლემ სასწავლო გარემო შეიცვალა და სხვადახვა სკოლაში გააგრძელა სწავლა. მე-4 მოსწავლე კი სასწავლო პროცესს საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ დაუბრუნდება. (დანართი N6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში სკოლის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი წერილი, მოსწავლეთა სხვა სკოლაში გადასვლის მტკიცებულება -10 ფურცლად) 8 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა მოსწავლეებიც და მასწავლებლებლებიც კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების დადგენა, მათ განვითარებაზე ზრუნვა და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა წარმატების საუკეთესო საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ინტერვიუებით გაირკვა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა გასააქტიურებლად გააძლიერებს კლუბურ მუშაობას მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები, მიზნობრივი ექსკურსიები და აღმზრდელობითი სახის ღონისძიებები დაეხმარება მათ კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ჩართულია ელექტრონული მართვის სისტემის **"School book"-ის** პროგრამაში, რომელიც საუკეთესო საშუალებაა სკოლის თანამშრომლებისა და მშობლების კომუნიკაციისათვის. ელექტრონული (ელექტრონული ჟურნალი და "schoolbook") ფორმით მშობელს შეუძლია მოიძიოს თავისი შვილის წარმატებისა და მიმდინარე აკადემიური მოსწრების შესახებ სასურველი ფორმაცია. **რაც შეეხება სკოლაში უსაფრთხო გარემოსა და მოსწავლეთა დაცულობას** ,სკოლის ფსიქოლოგმა და ხარისხის მართვის მენეჯერმა ბულინგისა და ძალადობის პრევენციის მიზნით ჩაატარეს მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვა, მოსწავლეთა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

	შინაგანი განწყობის, აგრესიულობის დონის, აღზრდის მეთოდებისადმი მათი დამოკიდებულების და გარშემომყოფთა მიერ ალკოჰოლისა და გამაბრუებელი საშუალებების მოხმარების დასადგენად. მიღებული შედეგების შესწავლის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები პედაგოგებისა და მშობლებისათვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სკოლამ ექსპერტთა სრულყოფილი მუშაობისათვის შექმნა სათანადო პირობები, რათა მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაცია მოგვეპოვებინა და შეგვესწავლა ზოგადად რამდენად არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოება და კეთილსაიმედო გარემოდაწესებულებაში.
დადასტურება/დანართი	1. ინტერვიურებით ; 2. სკოლის ვებგვერდით; 3. სოციალურ ქსელით. 4. დანართი N6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში სკოლის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი წერილით, მოსწავლეთა სხვა სკოლაში გადასვლის მტკიცებულებით- 10 ფურცლად)
შეფასება	**დაკმაყოფილებულია „ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის № 99 /ნ მე - 5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ " ქვეპუნქტი .**

IV. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

4.1 მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები

აღწერა	სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა აღრიცხვის ელექტრონულ და საკლასო ჟურნალებს. ელექტრონულ ჟურნალებთან წვდომა აქვთ მშობლებს და ხედავენ მხოლოდ საკუთარი შვილის წარმატებასა და იღებენ მიმდინარე აკადემიური მოსწრების შესახებ სასურველ ინფორმაციას.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	შემთხვევთი შერჩევის პრინციპით მოხდა საკლასო ჟურნალების დათვალიერება. მასწავლებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჟურნალების წარმოებას. ჟურნალების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილიხარვეზების თაობაზე დირექციის გადაწყვეტილებით, ჟურნალის არასწორად წარმოებისთვის გამოყენებულია რეაგირების სათანადო სანქციები.
დადასტურება/დანართი	1. ინტერვიუებით; 2. ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანება.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

თანდართული დოკუმენტაცია	1. დანართი N1 ოჯარის ხელშეკრულებები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილი (10 ფურცლად); 2. დანართიN2 სასკოლო სასწავლო გეგმით (60 ფურცლად) 3. დანართიN3 გაკვეთილების ცხრილი (4 ფურცლად), 4. დანართი 4 მოსწავლეთა და მასწავლებელთა განაწილება შენობებში (5 ფურცლად) 5. დანართი N5 მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომელთაც შეუწყდათ ხელშეკრულება (63 ფურცლად) 6. დანართი N6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში სკოლის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი წერილი, მოსწავლეთა სხვა სკოლაში გადასვლის მტკიცებულება -10 ფურცლად) 7. დანართი 7 ბრძანება N-ზ 52 (1 ფურცლად) 8. დანართი 8 ბრძანება N-ზ 1 (1 ფურცლად) 9. დანართი 9 ბრძანება N-ზ 28 (1 ფურცლად) 10. დანართი 10 ბრძანება N-ზ 29 (1 ფურცლად) 11.. დანართი 7 ბრძანება N-ზ 30 (1 ფურცლად)
შევსების თარიღი	25 მარტი 2018

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ნინო გვარამაძე